პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
გამოცემის 25-ე წელი

# ახალი ხევი

№ 23 (1532)
კვირა
18
მარტი
1956 წ.

საქართველოს კომპარტიის ყაზბეგის რაიკომისა და შრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის ორგანო
АХАЛИ ХЕВИ – Орган Казбегского райкома компартии грузии и райсовета депутатов трудящихся.

ფასი 10 კაპ

ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 12 მარტს, 23 საათსა და 35 წუთზე, მძიმე ავადმყოფობის (მიოკარდის ინფარქტის) შემდეგ მოსკოვში გარდაიცვალა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, პოლონელი ხალხის დიდი შვილი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბოლესლავ ბერუტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## ხალხთა მეგობრობისათვის

საბჭოთა სკოლის წინაშე დასახულია მეტად კეთილშობილი და საპატიო ამოცანა: მოსწავლეებს ჩაუნერგოს სოციალისტური სამშობლოს სიყვარული, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეა, აღზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შეძლებს საბოლოოდ დაამთავროს კომუნიზმის მშენებლობა,—როგორც იტყოდა ხოლმე კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ამხანაგი ლენინი.

ამიტომაა, რომ ჩვენი პარტია და მთავრობა დაუღალავად ზრუნავენ სკოლებზე, ახალი საზოგადოების მომავალი მშენებლების საუკეთესოდ აღზრდაზე.

პარტიის XX ყრილობამ სახალხო განათლების მუშაკთა წინაშე საბრძოლო ამოცანად დააყენა გადაჭრით ამაღლდეს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დონე სკოლებში, მოსწავლეებს გამოუმუშაოთ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, აღვზარდოთ მაღალი იდეალების ადამიანები, რომელნიც ყოველთვის მზად იქნებიან ემსახურონ თავიანთ ხალხს და სამშობლოს.

საბჭოთა პედაგოგიკაში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეთა აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. საბჭოთა ხალხების მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი მონაპოვარია. „სანამ ეს მეგობრობა არსებობს,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი,—ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალნი და უძლეველნი იქნებიან. არავინ, არც შინაური, და არც გარეშე მტერი, ჩვენთვის საშიში არ არის, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს".

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის გრძნობის აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა სკოლების მიმოწერა და კავშირურთიერთობა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სკოლებთან თავიანთი მუშაობის გამოცდილებისა და ცხოვრების გასაცნობად.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რაიონის სკოლებში დღემდე ეს არ არის დანერგილი, არც ერთ სკოლას მიმოწერა არა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებთან, ხოლო სასკოლო პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერჯერობით ეს საქმე კრების მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ. ასეთი მდგომარეობა იმითაცაა გამოწვეული, რომ განათლების რაიონული განყოფილების მუშაკები სათანადოდ არ აფასებენ და ყურადღებას არ აქცევენ ამ თვალსაჩინო საკითხს.

განათლების რაიონული განყოფილების მუშაკების, სასკოლო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ვალია ბოლო მოუღონ ზემოთ აღნიშნულ უყურადღებობას. ჩვენი მოსწავლეების სხვა რესპუბლიკის მოსწავლეებთან მიმოწერას და კავშირის დამყარებას უდავოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სკოლების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

ყველაფერი გავაკეთოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შევაიარაღოთ მოსწავლეები ღრმა და მტკიცე ცოდნით. ამასთან ერთად აღვზარდოთ ისინი პატრიოტიზმის, ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით. უზრუნველვყოთ რაიონის მოსწავლეების მჭიდრო კავშირის დამყარება მოძმე რესპუბლიკების მოსწავლეებთან.

## რაიონული საბჭოს სესია

13 მარტს ჩატარდა ყაზბეგის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მეხუთე მოწვევის მე-5 სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის არ. მარსაგიშვილის მოხსენება 1955 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებისა და 1956 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, თანამოხსენებით გამოვიდა მუდმივი საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვლ. წიკლაური.

სესიაზე აღინიშნა, რომ გასულ წელს ვერ შესრულდა შემოსავლების გეგმა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადებიდან ბიუჯეტს დააკლდა 23.800 მანეთი. თანხები მთლიანად ვერ აითვისეს ჯანმრთელობისა და განათლების რაიონულმა განყოფილებებმა. ფულადი სახსრების ამოღების გეგმების შესრულებაზე ცუდად იმუშავეს დარიალის, სნოსა და ყაზბეგის სასოფლო საბჭოებმა.

მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის განვითარებასა და სოციალურ ღონისძიებებზე დაიხარჯება 7.478 ათასი მანეთი, რაც 992 ათასი მანეთით აჭარბებს შარშანდელ ბიუჯეტს. სახალხო მეურნეობას მოხმარდება 1.423 ათასი მანეთი, სოციალ-კულტურულ ღონისძიებებს —5. 427 ათასი მანეთი, განათლებას —3. 294 ათასი, ჯანმრთელობის დაცვას— 2.103 ათასი მანეთი, სოციალურ უზრუნველყოფას 9 ათასი მანეთი და ა. შ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოვიდნენ კულტურის რაიონული განყოფილების გამგე გ. გიგაური, ჯანმრთელობის რაიონული განყოფილების გამგე ვ. ითონიშვილი. სოცუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ს. აბაევი, კობის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე გ. ტუაევი, სიონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე შ. სულიაური, კომუნალური განყოფილების გამგე შ. ოდიშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ფ. გოგიშვილი.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

## პირობას გაანაღდებენ

დიდი ინტერესით გაეცნენ და ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები გერგეტის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაკებმა.

— პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები, — თქვა ფერმის გამგემ ა. ჩიბაშვილმა, —ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ნათელი პროგრამაა. პარტიის დიადი წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საჭიროა ჩვენი ფერმის ყველა მუშაკმა დაუღალავად იბრძოლოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ამ ამოცანების გადაწყვეტა კი შეიძლება მაშინ, თუ ყველა ღონისძიებას ვიხმართ ძროხებისა და მოზარდეულის საუკეთესო მოვლა-პატრონობისათვის, ვიბრძოლებთ მათი სიკვდილიანობის წინააღმდეგ, გავაუმჯობესებთ ჯიშიანობას, სანიმუშოდ მოვაწყობთ მიღებული პროდუქტების აღრიცხვის საქმეს.

მოწინავე მწველავმა მარო სუჯაშვილმა ვალდებულება იკისრა თითეულ ძროხაზე მოწველოს 750 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა.

ეჭვი არ არის, რომ გერგეტის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მუშაკები წარმატებით გაანაღდებენ პირობას.

ა. ავსაჯანიშვილი,
საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

## ნინოს ახალი ვალდებულება

ნინო გელაშვილმა გასულ წელს სასახელო მაჩვენებლები მოიპოვა პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში, თითეულ ძროხაზე გეგმის ზევით მოწველა 550 ლიტრით მეტი რძე; სამეურნეო წლის დასაწყისიდან დღემდე თითეულ ძროხაზე უკვე მოწველილი აქვს 450 ლიტრი რძე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი აღმავლობისათვის აღაფრთოვანეს იგი. პატრიოტმა კოლმეურნე ქალმა პარტიის ყრილობის დადგენილებათა პასუხად ვალდებულება აიღო მიმდინარე სამეურნეო წლისათვის ყოველი ძროხიდან მიიღოს 1.100 ლიტრი რძე, 12 ძროხიდან გამოზარდოს 12 ჯანსაღი ხბო.

აღსანიშნავია, რომ ნინოს შარშან 15 მარტისათვის ძროხაზე მოწველილი ჰქონდა მხოლოდ 180 ლიტრი რძე, ამჟამად კი მიღებული აქვს 270 ლიტრით მეტი.

გელაშვილის მიღწევა იმაზე ლაპარაკობს, რომ იგი პირნათლად შეასრულებს თავის ჩანაფიქრს.

ვლ. გოდერძიშვილი.

## მეექვსე ხუთწლედის ტექნიკა



ნოვოჩერკასკის ს. ბუდიონის სახელობის ელმავლების მშენებელ ქარხანაში აგებულია 4300 ცხენის ძალის სიმძლავრის ახალი მაგისტრალური სატვირთო ელმავალი „ვლ—23".

ახალი ელმავლის სიმძლავრე 30 პროცენტით მეტია სერიულ ელმავალ „ვლ—22"-ის სიმძლავრეზე.

ელმავალი „ვლ—23" საათში 70 კილომეტრი სიჩქარის დროს ელმავალ „ვლ—22"—ის წევის ძალას აჭარბებს სამჯერ, ხოლო ორთქლმავალ „ფდ"-სას—1,7-ჯერ. ახალი ელმავლის მაქსიმალური სიჩქარე 100 კილომეტრია საათში.

სურათზე: ელმავალი „ვლ—23".

საკდესის პრესკლიშე.

## საფრანგეთში ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობისადმი

პარიზი, 12 მარტი. (საკდესი). საფრანგეთში ასიათასი ცალი ტირაჟით ბროშურად გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობისადმი. როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ბროშურამ ფრანგი მშრომელების დიდი ინტერესი გამოიწვია.

# პარტიის ზრუნვა ხალხისათვის

25 თებერვალს დაამთავრა მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. ყრილობის მთელი მუშაობა, აგრეთვე მისი გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია პარტიის დიდი ზრუნვით სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულია ამოცანა: მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სოფლის მეურნეობის წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამის საფუძველზე მიღწეულ იქნას საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველზე წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, რომლის სამი მეოთხედი ხმარდება მშრომელთა პირადი საჭიროების დაკმაყოფილებას. მხოლოდ მეხუთე ხუთწლედის წლებში იგი გადიდდა 68 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მეექვსე ხუთწლედის გეგმის შესახებ დირექტივებით გათვალისწინებულია კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის შემდგომი გადიდება საშუალოდ სულ ცოტა 40 პროცენტით, ხოლო მუშა მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა საშუალოდ დაახლოებით 30 პროცენტით. პარტიის XX ყრილობამ დასახა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ფართო ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებს ეკუთვნის ის, რომ ხელფასი გაუდიდდებათ მუშებისა და მოსამსახურეთა იმ ჯგუფებს, რომელთაც დაბალი ხელფასი აქვთ. ხელფასის მოწესრიგებასა და სამუშაო დღის შემცირებასთან ერთად დასახულია გაუმჯობესდეს პენსიით უზრუნველყოფაც.

ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ უმჯობესდება სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. გასულ წელს მარტო რუსეთის ფედერაციაში დამატებით გაიხსნა 868 საშუალო სკოლა, ბევრი საავადმყოფო და სამშობიარო სახლი, სანატორიუმი, აგრეთვე საბავშვო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფოს სახსრებით აშენდეს ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფლებში დაახლოებით 205 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ეს თითქმის ერთიორად მეტია, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში იყო აშენებული. ამავე დროს დასახულია ამოცანა-ფართოდ შეუწყონ ხელი მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს პირადი დანაზოგით და სახელმწიფო და საკოლმეურნეო კრედიტით საკუთარი სახლების მშენებლობაში. მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობა 1955 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 28 პროცენტით, ადგილების რაოდენობა საბავშვო ბაგებში — 44 პროცენტით, საბავშვო ბაღებში—45 პროცენტით. უდიდესი მასშტაბით გაფართოვდება კინოფიკაცია და ტელევიზია.

დასახულია ამოცანა—ძირითადად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება როგორც ქალაქებში, ისე სოფელ ადგილებში. იმ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების მიზნით, რომელთაც საშუალო განათლება არა აქვთ გათვალისწინებულია გაფართოვდეს დაუსწრებელი და საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი. ამ სკოლებში მშრომელთ შეუძლიათ ისწავლონ წარმოებას მოუწყვეტლივ. უკვე მომავალი სასწავლო წლიდან გაუქმდება სწავლის ქირა საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება შესაძლებელს გახდის ხუთ წლედში სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი გადიდდეს დაახლოებით 60 პროცენტით. ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება მეექვსე ხუთწლედში უზრუნველყოფს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვის ზრდას დაახლოებით 50 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდება სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მუშები, სოფლის მშრომელები და ჩვენი ინტელიგენცია სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას 1956 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის.

ს. სოკოლოვი.

# სწავლა სიკვდიმდე შენია

„სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი;
მას გეცილების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი“.

თითქმის ყოველ დღიურად მაგონდება უკვდავი დიდაქტიკოსი პოეტის დ. გურამიშვილის ეს ჭეშმარიტი სიტყვები და ახალი ენერგიით აღსავსე შევდივარ სკოლაში. საბჭოთა მოსწავლისათვის სიძნელეს არ წარმოადგენს გახდეს სწავლის ფრიადოსანი, და მეც, როგორც საბჭოთა რიგითი მოსწავლე, ვცდილობ მასწავლებელთა მიერ ჩემზე გაწეული შრომა დავაფასო ხუთებზე სწავლით.

ჯერ კიდევ დაბალ კლასებში სწავლის დროს ვცდილობდი მასალის ძირფესვიანად შესწავლას, რათა მტკიცე საფუძველი მქონოდა მომავლისათვის.

ახლა კი, როგორც მაღალი კლასის მოსწავლეს, მესმის ჩემზე დამყარებული მოვალეობა და ბეჯითი მეცადინეობის მნიშვნელობა.

ჩემთვის საყვარელი საგანი არის მათემატიკა; მოსწავლეამხანაგებისაგან ხშირად მსმენია საყვედური ამ საგნის სირთულისადმი. საგანი, მართალია, რთულია იმდენად, რამდენა



დაც სხვა საგნებისაგან განსხვავებით მისი ცოდნისათვის საჭიროა განვლილი მასალის კარგი ცოდნა და რამდენადაც მისი ათვისება შეუძლებელია წილადების, ათწილადების, უბრალო გეომეტრიული თეორემების ცოდნის გარეშე. მოსწავლეები, რომელთაც საფუძველი აქვთ მათემატიკაში, დამეთანხმებიან, რომ საგნის კარგად შესწავლა, თუნდაც ყველა მოსწავლის მიერ, შეუძლებელს არ წარმოადგენს. აზრი მისი დაუძლევლობის შესახებ, სინამდვილის უარყოფაა.

სკოლიდან დაბრუნებისა და შესვენების შემდეგ პირველ რიგში მათემატიკური საგნის მომზადებას ვიწყებ, მეცადინეობას საშუალოდ ვანდომ... საათნახევარ დროს.

მათემატიკის შემდეგ რუსულ... ში ვმეცადინეობ, შემდეგ სხვა საგნებს ვამზადებ.

სწავლაში წარმატების მი... წევის აუცილებელი პირობ... გაკვეთილების ყოველდღიურ... კარგად მომზადება, მაგრ... ცოდნის საერთო ჰორიზონტ... გაფართოების და მეტყველებ... გაუმჯობესებისათვის საჭირ... კლასგარეშე ლიტერატურ... კითხვა. შეგნებული მაქ... რა ეს აზრი, ვცდილობ, რ... შეიძლება მხატვრული ლიტ... რატურა მეტი ვიკითხო. რა... დენიმე დღის წინ დავამთ... რე ს. ქვარიანის ისტორიულ... რომანი „გიორგი სააკაძ... რომანმა ბევრი ახალი რამ შ... მატყობინა საქართველოს გმ... რული წარსულის შესახებ ... ძალზე კმაყოფილიც დამტო... ახლა ვკითხულობ მ. ჯავახ... შვილის „არსენა მარაბდელს... ვეცდები კარგად მომზად... ბული შევხვდე საგაზაფხულ... გამოცდებს.

ლ. ხართიშვილი,
სიონის ალ. ყაზბეგის სახელობ... საშუალო სკოლის მე-11 კლას... მოსწავლე.

# გვიყვარდეს ყველა საგანი

მეკითხებიან, რატომ შემიყვარდა ესა თუ ის საგანი? ჯერ ერთი, სკოლაში იმიტომ დავდივარ, რომ ვისწავლო და სწავლა კი მხოლოდ საგნების სიყვარულით შეიძლება. მერე, იმიტომ, რომ რით შემიძლია გადავუხადო ის დაუფასებელი ამაგი, რომელსაც იჩენს მოსწავლეებისადმი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მასწავლებლები თავიანთი შრომით, თუ არა კარგი სწავლით.



იმისათვის, რომ ყოველი საგანი საფუძვლიანად შევისწავლო, სამეცადინო საათებს ყოველდღიურად ვანაწილებ ასე: სკოლიდან სახლში ვბრუნდები 3 საათსა და 15-20 წუთზე, 4 საათამდე ვისვენებ, შემდეგ ვამზადებ გაკვეთილებს მათი სიძნელის მიხედვით. ჯერ მათემატიკურ საგნებს და შემდეგ სხვებს; ყოველი ერთი საათის მეცადინეობის შემდეგ პერიოდულად ვისვენებ 15 წუთს, რომლის დროს ოჯახში ვასრულებ ფიზიკურ სამუშაოებს. განსაკუთრებით მინდა ვთქვა ჩემი შეხედულების შესახებ მშობლიურ ენაზე. ქართული ენა და ლიტერატურა ეს საფუძველთა საფუძველია ყველა სხვა საგნის ცოდნისათვის. მშობლიური ენის ცოდნაზეა დამოკიდებული ყველა სხვა საგნის გაგება და ცოდნა. თუ მოსწავლე კარგად ვერ არის დაუფლებული ქართულ ენასა და ლიტერატურას, მე მგონია, რომ ის ვერც სხვა საგნებს გაიგებს, ვინაიდან გინდ ესმოდეს ესა თუ ის საგანი, ვერ შეძლებს მის განმარტებას, სწორად ვერ გადმოგვცემს მის შინაარსს ქართულის უცოდინარობის გამო.

გაკვეთილების მომზადების დროს ვცდილობ მთელი გულისხმიერებით შევუდგე გაკვეთილის სწავლას და არ ვიფიქრო სხვა რამეზე. ყოველ წინადადებას ვკითხულობ ყურადღებით, დაკვირვებით, ვცდილობ გავიაზრო მისი შინაარსი და მაშინ ასეთი წინადადებებისაგან შემდგარი გაკვეთილი ისეთივე გასაგები და ადვილა... დასაძლევი ხდება, როგორ... ამხანაგის მიერ მოყოლი... რაიმე უბრალო ამბავი. სწავ... ლის გარდა ვმონაწილეობ ქიმიისა და მათემატიკის წრეებში. სასოფლო სამკითხველოსთან არსებულ ლიტერატურულ წრეში ამას წინათ წავიკითხე მოხსენება: „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“. გარდა ამისა, ამხანაგებს ხშირად ვეხმარები ყველა საგანში რაშიც კი ვინმე ჩამორჩება, რათა ისინი დაეწიონ მოწინავეებს.

კლასგარეშე ლიტერატურიდან ვკითხულობ ყველაფერს, რაც კი შემხვდება. განსაკუთრებით მიზიდავს რუსული ლიტერატურა, რუსულ ენაზე დაწერილი ნაწარმოებები. ამ ბოლო დროს ერთ თვეში წავიკითხე: ეგნატე ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებული, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მოთხრობები რუსულ ენაზე, გ. წერეთელის „პირველი ნაბიჯი“, ი. ლიკსტანოვის „პირველი სახელი“ და ახლა ვკითხულობ ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

ბ. ჩიბაკაური,
სიონის ალ. ყაზბეგის სახელობის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.

# მოსწავლეთა კონცერტი

ამ დღეებში ყანობის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა მეზობელი სოფლის — გორისციხის სასოფლო კლუბში გამართეს კონცერტი. მოსწავლეებმა კარგად შეასრულეს სიმღერები სტალინზე, საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, მშვიდობაზე. ვაჟა-ფშაველას ცნობილი პიესიდან „მოკვეთილი“ წარმოდგენილი იქნა რამდენიმე მოქმედება.

ყანობის სკოლის მოსწავლეთა კონცერტს ხელმძღვანელობდნენ ავთანდილ ტუჩაშვილი და ჟუჟუნა ხულელიძე.

ა. ჩქარეული.

ყაზბეგი გაზეთ „ახალი ხევი“-ს სტამბა ტირაჟი 1100 რედაქტორი ...